



ბრძანება:ბ14.142416944

თარიღი:17/06/2024

**სუვენირებით და სამახსოვრო ნივთების სარეალიზაციოდ განკუთვნილი,
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჯიხურების
და მათ განსათავსებლად მიწის ნაკვეთების იჯარის ფორმით
სარგებლობაში გადაცემისათვის პირობებიანი ელექტრონული აქციონის
გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის
დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 119-ე მუხლის, 122-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების დამტკიცების წესების შესახებ“, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 აპრილის №37 დადგენილების, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით განსაკარგი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების 1 კვ.მ-ს საწყისი სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 აპრილის №გ-15.152311812 განკარგულების, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით განსაკარგი მოძრავი ქონების საწყისი სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 აპრილის №გ-15.152311811 განკარგულებისა და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით განსაკარგი უძრავი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №გ-15.15241213 განკარგულების საფუძველზე,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს პირობებიანი ელექტრონული აუქციონი, სუვენირებით და სამახსოვრო ნივთების სარეალიზაციოდ განკუთვნილი, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჯიხურების და მათ განსათავსებლად მიწის ნაკვეთების იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემისათვის.

2. დამტკიცდეს სუვენირებით და სამახსოვრო ნივთების სარეალიზაციოდ განკუთვნილი, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჯიხურების და მათ განსათავსებლად მიწის ნაკვეთების პირობებიანი ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია, თანახმად დანართი 1 და დანართი 2-ისა.

3. ელექტრონული აუქციონის პროცედურები განხორციელდეს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს ელექტრონული აუქციონის პორტალ www.eauction.ge-ს მეშვეობით.

4. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურს უზრუნველყოს აუქციონის შესახებ განაცხადის განთავსება ვებგვერდზე: www.eauction.ge.

5. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე: www.batumi.ge.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

